№ 93 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, 28 აპრილი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## ნოე ნიკოლოზის ძის

# ჟორდანიას

სრული თხზულებათა კრებულის გამოცემას შეუდგა

## „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა".

ამ წლის მაისიდან
დაწყებული დაიბეჭდება თვეში არა ნაკლებ ერთი ტომისა.

სულ გამოვა 15 ტომამდის.

წიგნები დაიბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე ლამაზათ, თითო ტომი იქნება 300 გვერდამდის და ეღირება არა ნაკლებ 55 მანეთისა.

კრებული დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი. მიიღებენ მხოლოდ ხელის მომწერლები.

მიიღება ხელის მოწერა.

ხელის მომწერლებმა უნდა წერილობით აცნობონ გამომცემლობას, თუ რამდენი წიგნის მიღება სურთ. უნდა გამოგზავნონ ფოსტით თითო ცალ წიგნზე 30 მან. და გარკვევით მოიწერონ თავისი მისამართი.

გამოცემული წიგნები ხელის მომწერლებს დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ გამომცემლობის მიერ დარჩენილი ფულის ფას დადებით.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა", რუსთაველის პრ., № 26. ტელ. № 4—73.
776 3—2

ამ წლის აპრილის 30-ს დანიშნულია

## ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა

## მეორე კრება

ასარჩევია 6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯამაგირი 4000 მანეთი თვეში, საგზაო და დღიური ხარჯი უბნის საზღვრებში მიმოსვლისათვის 500 მანეთი თვეში.

მსურველთ შეუძლიათ გამოგზავნონ თხოვნა ქ. ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე.
754 7—5

## საქართველოს

## რესპუბ. მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, ვისაც აქვს სამინისტროს ნებართვა, ქვა-ნახშირის გატანის შესახებ, რომ დღემდის გაცემული ნებართვები უნდა წარმოდგენილ იქნას სამინისტროში 1 მაისამდის და გადაცვლილ ახალ ნებართვებზე.

ის გაცემული ნებართვები, რომლებითაც ჯერ არ უსარგებლია მათ მეპატრონეებს და რომლებიც აღნიშნულ ვადამდის არ იქნება წარმოდგენილი სამინისტროში ახალზე გადასაცვლელად გაბათილებულ იქნებიან.
465 2—2

## ქართული სავაჭრო აქციონერულმა

## ბანკმა ქ. ფოთში

ფინანსთა მინისტრის მიერ 9 აპრილს 1920 წლის დამტკიცებულ წესდების თანახმათ უკვე დაიწყო მოქმედება 19 ამა აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ წესდებით ნებადართულ, საბანკო ოპერაციებს.
457 3—3 გამგეობა ქართული აქციონერულ ბანკისა ქ. ფოთში

## ევროპიულ აზიური სავაჭრო-სამრეწველო საქქ. საზოგადოების

## „ევრაზია"-ს

გამგეობა აცხადებს აქციონერების საყურადღებოთ, რომ ამა წლის 15 აპრილისათვის დანიშნული აქციონერების

## საერთო კრება

გადადებულია ამა წლის 1-ლ მაისისათვის დღისით 1-ლ საათზე იმავე შენობაში. თანახმად წესდების მე.53 §-ისა კრილობა ჩაითვლება კანონიერად. გადაწყვეტილება კი საბოლოოთ.
განსახილველი საგნები იგივე.
804 1—1

## პირველ ქვეითა ათასეულს

## სჭირდება გამოცდილი მეითალ-ფერშალი

თვისუფალ საშტატო ვაკანსიაზე ჩარიცხვით.

მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ აღნიშნულ ათასეულის კანცელარიაში, ქ. ქუთაისი, რუბანის ქუჩა, ყოველ დღე დილის 9-3 საათამდე, ათასეულის მნესთან,
467 3—1

## ოფიციალური განყოფილება

# შტატი

იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

| §§ | მუხლი. | თანამდებობათა სახელწოდება და ხარჯი. | რიცხვი. | თვიურად. | | წლიურად. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთს. | ყველას. | ერთს. | ყველას. |
| | | სიღნაღის საპყრობილე. | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | დუშეთის საპყრობილე. | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | ზესტაფონის ყვირილის საპყრობილე: | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | ზუგდიდის საპყრობილე: | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | სენაკის საპყრობილე: | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | ოზურგეთის საპყრობილე: | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | ახალციხის საპყრობილე: | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | ახალქალაქის საპყრობილე: | | | | | |
| | | საპყრობილეს უფროსი | 1 | 2700 | 2700 | 32400 | 32400 |
| | | მისი თანაშემწე | 1 | 2300 | 2300 | 27600 | 27600 |
| | | გადამწერი | 1 | 1085 | 1085 | 13020 | 13020 |
| | | უფროსი ზედამხედველი | 2 | 1800 | 3600 | 21600 | 43200 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 13 | 1600 | 20800 | 19200 | 249600 |
| | | ჯამი | 18 | 9485 | 30485 | 113820 | 365820 |
| | | ზედამხედველთა რეზერვი, რომელნიც დაქირავებული იქნებიან იმ შემთხვევაში თუ რომელიმე საპყრობილეს ზედამხედველთა შტატის გადიდება იქნება საჭირო: | | | | | |
| | | უფროსი ზედამხედველი | 6 | 2000 | 12000 | 24000 | 144000 |
| | | უმცროსი ზედამხედველი | 14 | 1900 | 26600 | 22800 | 319200 |
| | | ჯამი | 20 | 3900 | 38600 | 46800 | 463200 |
| | | ჯამი 1 მუხლისა | 783 | 185485 | 1455405 | 2225820 | 7464860 |
| | 2 | საკანცელარიო ხარჯი ანგარიშის მიხედვით ტფილისის № 1 და № 2 და ქუთაისის საპყრობილეებს | 3 | 5000 | 15000 | 60000 | 180000 |
| | | რესპუბლიკის დანარჩენ ადგილების საპყრობილეებს | 12 | 4000 | 48000 | 48000 | 576000 |
| | | ჯამი მე-2 მუხლისა | 15 | 9000 | 63000 | 108000 | 756000 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საგზაო ხარჯი. | | | | | |
| | 3 | ტფილისის № 1 და № 2 და ქუთაისის საპყრობილეებს . . . . . . . . | 3 | 2000 | 6000 | 24000 | 72000 |
| | | რესპუბლიკის დანარჩენ ადგილების საპყრობილეებს . . . . . . . | 12 | 1000 | 12000 | 12000 | 144000 |
| | | ჯამი მე-3 მუხლისა . . . | 15 | 3000 | 18000 | 36000 | 216000 |
| | 4 | ზედამხედველების ჩაცმა-დახურვა . . . | — | — | 293750 | | 1525000 |
| | | ჯამი მე-4 მუხლისა . . . | — | — | 293750 | — | 1525000 |
| | | ჯამი მე-15 §-ისა . . . | 813 | 197485 | 1830156 | 236982[illegible] | [illegible]196183 |
| 16 | | **საქართველოს საპყრობილეების მხლებელთა რაზმი.** | | | | | |
| | 1 | **პირადი შედგენილობა.** | | | | | |
| | | რაზმის უფროსი . . . . . . . . | 1 | 3750 | 3750 | 45000 | 45000 |
| | | რაზმის უფროსის თანაშემწე (1 სამწყობრო და 1 სამეურნეო ნაწილებისთვის) . . . . . . . . . . . | 2 | 3300 | 6600 | 39600 | 79200 |
| | | გუნდის უფროსი . . . . . . . | 4 | 2700 | 10300 | 32400 | 129600 |
| | | მისი თანაშემწე . . . . . . . | 5 | 2250 | 11250 | 27000 | 135000 |
| | | ზემდეგი . . . . . . . . . . | 1 | 1600 | 1600 | 19200 | 19200 |
| | | უფროსი ნაცვალი . . . . . . . | 4 | 1525 | 6100 | 18300 | 73200 |
| | | უმცროსი ნაცვალი . . . . . . . | 6 | 1476 | 8850 | 17700 | 106200 |
| | | გადამწერი . . . . . . . . . | 1 | 1300 | 1300 | 15600 | 15600 |
| | | მანქანაზედ გადამწერი . . . . . | 1 | 1300 | 1300 | 15600 | 15600 |
| | | უმცროსი მხლებელი . . . . . . | 149 | 1400 | 208600 | 16800 | 2503200 |
| | | ჯამი 1 მუხლისა . . . . | 174 | 20600 | 260150 | 247200 | 3121800 |
| | 2 | სამეურნეო ხარჯი (რაზმელების ჩაცმა-დახურვა, თითოს 5000 მან. წელიწადში 160 კაცის) . . . . . | — | — | 66666-66 | — | 800000 |
| | | ჯამი მე-2 მუხლისა . . . | — | — | 66666.66 | — | 800000 |
| | 3 | საგზაო ხარჯი . . . . . . . . . | — | — | 6000 | — | 72000 |
| | | ჯამი მე-3 მუხლისა . . . | — | — | 6000 | — | 72000 |
| | 4 | საკანცელარიო ხარჯი . . . . . . | — | — | 4000 | — | 48000 |
| | | ჯამი მე-4 მუხლისა . | — | — | 4000 | — | 48000 |
| | | ჯამი მე-16 §-ისა . . . . | 74 | 20600 | 336816.66 | 247200 | 4041800 |
| 17 | 7 | ტუსაღთა შენახვა. | | | | | |
| | 1 | სასმელ საჭმელი . . . . . . . . . | — | — | 2668750 | — | 32025000 |
| | | ჯამი 1 მუხლისა . . . . | — | — | 2668750 | — | 32025000 |
| | 2 | ჩაცმა-დახურვა . . . . . . . . | — | — | 520833-33 | — | 6250000 |
| | | ჯამი მე-2 მუხლისა . . . | — | — | 520833-33 | — | 6250000 |
| | 3 | ავადმყოფ ტუსაღთა მოვლა და გადაცვალებულთა დამარხვა. | | | | | |
| | | სასმელ-საჭმელის და წამლების 12 პრ. ტუსაღთა საერთო რიცხვისა, ე. ი. 300 კაცის, თითოს დღეში 50 მან. . . . . . . . . . . . . . 450000 მ. | | | | | |
| | | იგივე პროც. საამბულატორო ავადმყოფთათვის თითოს დღეში 10 მან. . . . . . . . . . . . . . 90000 მ. | | | | | |
| | | გადაცვალებულთა დასამარხად 225000 მ. | — | — | 765000 | — | 9180000 |
| | | ჯამი მე-3 მუხლისა . . . | — | — | 765000 | — | 9180000 |
| | 4 | ტელეფონის და სანიშნებელის ხარჯი | — | — | 12000 | — | 144000 |
| | | ჯამი მე-4 მუხლისა . . . | — | — | 12000 | — | 144000 |
| | 5 | პუბლიკაცია, ტუსაღთა ბილეთები და ფოტოგრაფია . . . . . . . . . | — | — | 10000 | — | 120000 |
| | | ჯამი მე-5 მუხლასა . . | — | — | 10000 | — | 120000 |
| | 6 | აბანო და საცვლების რეცხვა . . . | — | — | 102500 | — | 1230000 |
| | | ჯამი მე-6 მუხლისა . . . | — | — | 102500 | — | 1230000 |
| | 7 | წვრილმანი ნახარჯი . . . . . . | — | — | 10000 | — | 120000 |
| | | ჯამი მე-7 მუხლისა | — | — | 10000 | — | 120000 |
| | | ჯამი მე-17 §-ისა . . . . | — | — | 4089083-33 | — | 49069000 |
| 18 | | საპყრობილეთა შენობების შენახვა და დაქირავება. | | | | | |
| | 1 | შენობის ქირა . . . . . . . . . | — | — | 9933-33 | — | 119200 |
| | | ჯამი 1 მუხლისა . . . . | — | — | 9933-33 | — | 119200 |
| | 2 | გათბობა და განათება . . . . . . | — | — | 232935 | — | 2795220 |
| | | ჯამი მე-2 მუხლისა . . . | — | — | 232935 | — | 2795220 |
| | 3 | შენობების გასუფთავება . . . . . . | — | — | 104750 | — | 1257000 |
| | | ჯამი მე-3 მუხლისა . . | — | — | 104750 | — | 1257000 |
| | | ჯამი მე-18 §-ისა . . . . | — | — | 347618-33 | — | 4171420 |

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი**.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# განკარგულებანი

**№ 36.**

**სახაზინო რკინის გზების სამმართველოსადმი**

განსამარტებლად და ალმატებით არსებულ ბრძანებებისა და ინსტრუქციებისა მიიღეთ სახელმძღვანელოდ შემდეგი დებულებანი ჩქარი მატარებლებზედ წლიური უფასო ბილეთებით მოგზაურობის შესახებ:

1. ჩქარი მატარებლით № 1 და 2 მოგზაურობა წლიურ სააგენტო ბილეთით შეუძლია მხოლოდ იმ პირთ, რომელთა აღნიშნულ ბილეთებზედ აქვს გაკეთებული სათანადო შტემპელი შემოწმებული გზათა დეპარტამენტის მიერ ან სათანადო შემთხვევაში გზების უფროსის მიერ. რიცხვი ასეთი პირთა ძლიერ მცირე უნდა იქნეს.

2. პირველი პუნქტი არ გულისხმობს იმას, რომ წლიურ ბილეთის პატრონს შეუძლია დაიჭიროს მგზავრის ადგილი ჩქარ მატარებელში № 1 და 2. სათანადო შტემპელიან საააგენტო ბილეთის პატრონს შეუძლია ისარგებლოს უპლაცკარტოთ თავისუფალი დანომრილ ადგილით, თუ ასეთი დარჩება ვაგონში, ხოლო ეს ადგილი თავისუფლად ითვლება და უნდა გაიყიდოს, თუ რომელიმე მოქალაქე მოითხოვს ბილეთს რა სადგურზედაც არ უნდა მოხდეს ეს. ამ შემთხვევაში საააგენტო ბილეთის პატრონი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუთმოს ადგილი მგზავრს.

3. ყოველგვარი სასამსახურო ან თუნდაც სრულ ფასიან პლაცკარტების გაყიდვა საააგენტო ბილეთებზედ ჩქარ მატარებლებზედ № 1 და 2 აკრძალულია, ვინაიდან ეს იწვევს შევიწროებას მგზავრებისას.

4. იმ მატარებლებზედ, სადაც დასაჯდომი დანომრული ადგილები არსებობს (მაგალითად, მატ. № 5 და 6) სასამსახურო პლაცკარტების გაყიდვა შეიძლება შტემპლიან საააგენტო ბილეთებზე, მხოლოდ მგზავრებისათვის ბილეთების გაყიდვის გათავების შემდეგ ე. ი., თუ რჩება თავისუფალი ადგილი მატარებელში. ფასი სასამსახურო პლაცკარტისა ასეთ მატარებლებში დაწესდეს: I კლასის—5 მანეთი, II კლასის—3 მანეთი, III კლასის—1 მანეთი.

5. გადათვალიერებულ უნდა იქნეს სია ყველა იმ წლიური საააგენტო ბილეთებისა, რომელზედაც შტემპელია გაკეთებული, და გაუქმებული შტემპელი ყველა იმ აგენტების ბილეთებზედ, რომლების სამსახურის ხასიათი არ მოითხოვს აუცილებლად ჩქარი მატარებლებით მოგზაურობას.

6. ეს განკარგულება გაკრული იქნეს სადგურის კასებთან და მატ. №№ 1 და 2 ვაგონების ჩარჩოებში.

**სახაზინო რკინის გზების სამმართველოსადმი.**

26 აპრილი, 1920 წ., № 42.

შემადგენლობის გადამეტება საშუალებას არ აძლევს რკინის გზას დაიცვას სათანადო განრიგება სამგზავრო მატარებლის მიმოსვლისა. ეს მეტადრე ეხება სასწრაფო მატარებლებს №№ 1 და 2 (ან ახალი განრიგებით, რომელიც ა. წ. 1 მაისიდან შევა ძალაში, ექსპრეს №№ 1 და 2) ვინაიდან თუნდაც ერთ ზედმეტ ვაგონის მობმა ამ მატარებლებზედ ძლიერ აბრკოლებს მისი მოძრაობის სიჩქარეს და იწვევს ორთქლმავალის ზედატვირთვას.

ზემოაღნიშნულის გამო წინადადება ეძლევა სამმართველოს აუცილებლათ დაიცვას წესი, რომლითაც სწრაფლ მატარებლებზედ და ექსპრესებზედ (იგულისხმება მატ. №№ 1 და 2 ან შემდეგი ექსპრესები №№ 1 და 2), სრულიად აკრძალულია სასამსახურო ან ცალკე ვაგონების და ვაგონ-სალონების მობმა. დანარჩენ მატარებლებზე შეიძლება მობმა მხოლოდ იმდენი ვაგონებისა, რამდენსაც დაუშვებს ტეხნიკური პირობები, ხოლო ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს ექვსი ღერძისა.

ეს ბრძანება გამოეცხადოს საჩქაროდ რკინის გზების სათანადო აგენტებს სახელმძღვანელოდ, ხოლო დაბეჭდილი ეგზემპლიარები ბრძანებისა ათ-ათ ცალად გაეგზავნოს ყველა სამინისტროებს საყურადღებოდ და სათანადო ქვემდებარე დაწესებულებებისათვის განსამარტებლად

გზათა დეპარტამენტის დირექტორი

**ჭიჭინაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# ბათომის გარშემო

**(23 აპრილის სხდომაზე მიღებული რეზოლიუციები)**

**I**

**ქ. ბათომის და ბათომის ოლქის დედა სამშობლო საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანების შესახებ.**

ბათომის ოლქის მკვიდრთა წარმომადგენლობის ყრილობამ გასული წლის აგვისტოს 31 ერთხმად დაადგინა, რომ ბათომი და ბათომის ოლქი. როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, უნდა შეუერთდეს დაუყონებლივ ფართო ავტონომიურად თავის ბუნებრივ სამშობლო საქართველოს რესპუბლიკას.

ყრილობამ აირჩია წარმომადგენლობითი დაწესებულება—მეჯლისი, რომლის დელეგაციამ აცნობა რა ზემოხსენებული დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, სთხოვა მას შესაფერი ზომების მიღება ყრილობის ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ზემოხსენებული დადგენილება ეცნობა აგრეთვე პარიზის საზავო კონფერენციას.

წინააღმდეგ მკვიდრთა გადაჭრილ გადაწყვეტილებისა, პარიზის კონფერენციას განუზრახავს ბათომის ოლქის დასაზღვრება, დაყოფა, ბათომის ქალაქის გამოყოფა ცალკე ერთეულად და მისი გადაცემა ერთა ლიგის ხელში.

ჩვენ, მთელი ოლქის წარმომადგენელთა ყრილობის არჩეული მეჯლისის წევრნი, შეკრებილნი ბათომში ამა 1920 წლის აპრილის 23 გამოვსთქვამთ მხურვალე პროტესტს ასეთ ძალადობის წინააღმდეგ და შეურყევლად ვაცხადებთ განმეორებით, რომ შეუწყნარებელია ბათომის ოლქის და ქალაქის დანაწილება და მათი საქართველოს ჩამოშორება, რომ ჩვენი კუთხის დამშვიდება, წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამყარება აქ და მკვიდრთა გონებრივი თუ ქონებრივი წარმატება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მთელი ბათომის ოლქი შეუერთდება საქართველოს რესპუბლიკას ფართო ავტონომიურ ნიადაგზე.

გამოვთქვამთ რა ამით მთელი ხალხის ნების ყოფას, აღვნიშნავთ ღრმა აღშფოთებით, რომ გარედან შემოსული ძალები სხვა და სხვა მიმართულებისა და ჯგუფებისა ცდილობენ ჩვენი მხარის ისედაც მძიმე მდგომარეობის უფრო გართულებას. ეს გარეშე ძალები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ქ. ბათომთან და მის ოლქთან, ყოველ ძალღონეს ხმარობენ ჩვენში არევ დარევის შესატანათ და მით გვიშლიან ხელს მოვაწყოთ ჩვენი ბედი ისე, როგორც შეეფერება ჩვენ საარჩევნო ინტერესებს.

ბათომის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსულმანები, ხოლო ისტორიით, სისხლით და ხორცით, ენით ქართველები—უცხადებთ ყველას, რომ არავის მივსცემთ უცხოს ნებას ჩაერიონ ჩვენ საქმეებში და დაეპატრონოს ჩვენი ქვეყნის გამგებლობას.

კიდევ ერთხელ მივმართავთ თხოვნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას იხმაროს ყოველი საშუალება 31 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლათ და მოახდინოს თავის ჯარებით ბათომის ოლქისა და ქ. ბათომის დაკავება, რომ მით მოუპოვოს მკვიდრ ხალს სულიერი სიმშვიდე და დაეხმაროს მას იმ ანარქიის მოსასპობლათ, რომელიც დღითი დღე ძლიერდება და დიდ საფრთხეს უმზადებს ხალხის სიცოცხლეს და ქონებას.

**II.**

**ქ. ბათომში და ბათომის ოლქში საქართველოს მტერთა თავაშვებული აგიტაციის შესახებ.**

ბათომის და მისი ოლქის ხელოვნურად საქართველოსგან ჩამოშორებამ შექმნა აუტანელი პირობები ადგილობრივ მცხოვრებთათვის, რომელთა 95 პროცენტს შეადგენს მუსლიმანი ქართველობა. არ არის მთელ მხარეში ხალხის მიერ არჩეული ერობა და მუნიციპალური თვითმართველობა, არც მართლმსაჯულება, არც ადმინისტრაცია. თვით ბათომში მილიცია სრულიად არა ადგილობრივ ელემენტებისაგან შესდგება. ამის გამო მთელ მხარეში გაბატონებული არის თავ-აშვებული სპეკულიაცია. ასეთი თავაშვებულ ვილაც გადამთიელთა თარეშის დროს ბათომის ოლქის მცხოვრებნი სთხოვენ საქართველოს მთავრობას მიიღოს დაუყონებლივ სათანადო ზომები ხალხის ასეთ ვითარებისაგან დასახსნელათ.

**III**

**ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობის შესახებ.**

მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ სახელმწიფოს სიმტკიცე და ნორმალური განვითარება ხსენებულ რესპუბლიკებისა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არსებობს ურთიერთისადმი ნდობა და სოლიდარობა, აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანის მთავრობა ბათომის ოლქში დაუშვებელ არა ლოიალობას იჩენს ჩვენს დედა სამშობლო საქართველოსადმი, რომელიც გამოიხატება მის ოფიციალურ და არა ოფიციალურ აგენტების მუშაობაში ბათომსა და ბათომის ოლქში წინააღმდეგ გასული წლის აგვისტოს ხალხის წარმომადგენელთა ყრილობის ერთსულოვან დადგენილებისა ბათომის და მისი ოლქის საქართველოსთან ავტონომიურათ შეერთების შესახებ.

მეჯლისი შეუწყნარებლათ სთვლის ბათომის საკითხის საერთაშორისო საკითხათ გადაქცევას, რასაც ცდილობენ აღერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობანი.

მეჯლისი ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ ბათომის და მისი ოლქის საკითხი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს საშინაო საკითხი და ამიტომ რამდენათაც აღერბეიჯანი და სომხეთი დაინტერესებულნი არიან ბათომის ნავთსადგურით, როგორც ევროპისაკენ გასავალი გზით, იმდენათ ისინი უნდა მიმართავდნენ საქართველოს მთავრობას, რომელიც დააკმაყოფილებს მათ სათანადო საჭიროებას.

მეჯლისი ადგენს: ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, რომ მან ეს რეზოლიუცია გადასცეს აღერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლე განმარტება

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვისა 1920—21 წ.**

საქართველოს ტყეებს უჭირავს 1880000 დესეტინაზედ მეტი ნიადაგი, რაც შეადგენს საქართველოს ტერიტორიის 30%. იმ დიდი მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც რესპუბლიკის ტყეებს აქვთ, როგორც შესანიშნავ ნაციის სიმდიდრეს სატყეო განყოფილებას დასახული აქვს შემდეგი მიზნები: ტყეების შენახვა, მისი გამოკვლევა და ტყეების სწორე სამეურნეო გეგმების შედგენა, ამ გეგმებზედ დამყარებული სწორე ექსპლოატაცია და ტყის მოშენება.

ტყეების შენახვა თუმცა ჯერ არ არის დაყენებული იმ დონეზედ, რომელიც შეჰფერის თვით ამ ტყეების მნიშვნელობას, მაინც უნდა ითქვას, რომ შარშანდელ წელთან შედარებით ტყის მოვლა-პატრონობა გაცილებით გაუმჯობესდა. თუ წინათ ტყის მოსპობას თითქმის სტიქიური და მასიური ხასიათი ჰქონდა, ეხლა მხოლოდ იშვიათად და სპორადიულათ თუ ხდებოდა ნება დაურთველ ტყის კაფვა. ტყის შენახვის გაუმჯობესება სხვათა შორის უნდა მიეწეროს იმ გარემოებასაც, რომ რესპუბლიკის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს უახლოვდება და ანარქიულ გამოსვლას თან და თან ბოლო ელება. ტყეების მოვლა-პატრონობას ხელს უწყობს აგრეთვე და იმედია შემდეგშიაც უფრო ხელს შეუწყობს, ტყის ყარაულების შერჩევა. წინად მცირე ჯამაგირების გამო უკეთესი ტყის დარაჯები გარბოდენ სხვა დაწესებულებისკენ, ეხლა კი, როცა ჯამაგირის მომატებით გაუმჯობესდა ჩვენი მოხელეების ნივთიერი მდგომარეობა, სატყეო განყოფილებას საშუალება აქვს ერობის დახმარებით შეარჩიოს უკეთესი და უფრო სინდისიერი მოხელენი. გარდა ამისა თვით სატყეო ადმინისტრაცია წინად გამოუცდელი და მოუმზადებელი იყო, ეხლა, ასე თუ ისე თანდათან გამოიცადა. ეხლა ჩვენ საშუალება გვაქვს იმათ მაგივრად, რომელთაც ვერ გამოიჩინეს საჭირო ენერგიადა ცოდნა, მოვიწვიოთ სატყეო კურსებზე მომზადებულნი პირნი. ადმინისტრაციის მოსამზადებლადვე საქართველოს ტყეები გაყოფილია რვა რაიონად. ამ რაიონების სარევიზიოთ არჩეულნი არიან უკეთ მომზადებულნი და მცოდნე ტყის გამგენი, რომელთაც ჩაბარებული აქვთ თავიანთ რაიონის ხელმძღვანელობა. სატყეო განყოფილების უმთავრესგასავლის მუხლს შეადგენს ტყეების დაცვის საქმე. 41,854,260 მან. გასავლიდან ხმარდება ადგილობრივ დაწესებულებათ 23,420,400 მან. ანუ 56% მთელი გასავლის ბიუჯეტისა.

ტყეების გამოკვლევის და მათ სამეურნეო მიზანშეწონილი გეგმების შესადგენად წარსულ წელშივე მოწვეულნი იყვნენ ტაქსატორები. საანგარიშო წლისათვის სატყეო განყოფილებასგანზრახული აქვს გააძლიეროს მუშაობა, რამდენადაცკი მოსახერხებელი იქნება გამოცდილი ტეხნიკოსების შოვნის მიხედვით. ტაქსატორები პირველ რიგში შეუდგებიან იმ ტყეების გამოკვლევას, საცა მოსალოდნელია ამ ახლო მომავალში ტყეების ექსპლოატაცია. რევოლიუციამდე სატყეო გეგმების შედგენის მხრივ ძალიან ცოტა იყო გაკეთებული ტფილისის გუბერნიაში. გეგმები გვაქვს 50 ათასი დესეტინა ქუთ. 49,884 დეს. სულ 99844 დ. მიმდინარე წელს ამ მუშაობაზე დაიხარჯა 153 ათასი მან. ანუ 4,5 მან. თითო დესეტინაზე. სულ სატყეო გეგმები დღემდის შედგენილია 133,195 დეს. ანუ ტყეების 7 პროც. მომავალ წლისთვის ნავარაუდევია 60 ათასი დესეტ. შესწავლა რაზედაც გამოთხოვილია 925,600 მან. ანუ 15 მან. დესეტინაზე. რაც შეეხება დანარჩენ ტყეებს, დაახლოებით ცნობაში მოყვანილი არის 1,050 ათასი დესეტინამდე ანუ 53 პროც., სრულიად გამოუკვლეველია 700,000 დეს. ანუ 40 პროც. დაახლოებითი ტყეების ასაწერათ და 5 დეკემბრის დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად მოწვეულნი არიან ცალკე ტეხნიკოსები, რომელთა შენახვა დაჯდება 374,400 მან.

მესამე უმთავრესი მიზანი, რომელიც უდგას სატყეო განყოფილებას, მოაწყოს მიზანშეწონილი ტყის ექსპლოატაცია. საქართველოს ტყეები ექსპლოატაციის მხრივ, შეიძლება გაიყოს ორნაირად. პირველი რაიონის ტყეები 600,000 დეს-მდე. მიუდგომელია და ამიტომ ეს ტყეები პირვანდელ ხეუხლებელ და იშვიათ სიმდიდრეს წარმოადგენს. აქ მრავალ საუკუნის განმავლობაში შეგროვილია აუარებელი მერქნის მასა. ამ ტყეების საექსპლოატაციოთ საჭიროა დიდი კაპიტალი გზების გასაყვანად და მდინარეების მოსაწესრიგებლად, რომ გაადვილდეს ხე-ტყის ტრანსპორტი. საჭირო კაპიტალი ჩვენ არა გვაქვს, საზღვარ გარეთის კაპიტალი კი ჯერ-ჯერობით არ გვწვევია, ამიტომ ამ რაიონის ტყეები შეადგენენ რესპუბლიკის რეზერვს, რომლის დამუშავება მომავალში გადიქცევა ერის გასამდიდრებელ წყაროთ. მეორე რაიონის ტყეები მდებარეობენ სოფლების და ქალაქების ახლოს, საცა რკინის გზა, ან გზა ტკეცილები აადვილებენ ტყის ტრანსპორტს და მაშასადამე ხელს უწყობენ ტყის ექსპლოატაციას. რადგანაც ეს ტყეები ხელ მისაწვდენ ადგილას იზრდება, ამიტომ იგი ბევრ ადგილას მეტის მეტი უსისტემო ექსპლოატაციით ძალზედ გათხელებულია: ამ რაიონს აწევს უმთავრესი ხე-ტყის ხმარების ხარჯი და ეს რაიონივე იძლევა უმთავრეს სატყეო შემოსავალს. ტყის ექსპლოატაცია წარმოებს ან ადგილობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, ან იყიდება სხვა ადგილებში გასატანად. ადგილობრივ მთხოვნელების დასაკმაყოფილებლათ ხალხს ეძლევა ნორმის მიხედვით შეღავათიან ფასებში, ან უფასოთ 5—ქრისტეშობისთვის 1919 წლის დეკრეტის ძალით. ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს ცნობები ამ ხმარების რაოდენობისა, მაინც იგი უნდა იყოს იმ ხე-ტყის ნახევარზედ მეტი, რომელიც ჩვენ ტყეებში ყოველ წლივ იჭრება ის ხე-ტყე, რომელიც ნორმას აღემატება იყიდება ან ნიხრის ფასებში, ან საჯაროთ. ნიხრის ფასებში ეძლევათ: ქალაქთა კავშირს, ერობებს, რკინის გზებს და სხ. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს. საჯაროთ გაყიდული ტყის რაოდენობა ძალიან მცირეა 8%-ი ვერც კი აღწევს რაც აიხსნება იმით, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით ტყის მრეწველობა გავრცელებული არ არის, მეორე მხრივ უკეთესი სამუშაო ადგილები ეძლევათ დაწესებულებებს. წარსულ წელს საქართველოს ტყეებში დაიწყო დიდი მაშტაბით წიფლის ტკეჩების (ბოჩკის ფიცრის,) დამზადება ტკეჩების მოთხოვნილობა საზღვარ გარეთ იმდენად დიდია, რომ მის დაკმაყოფილებას თითქმის ვერც-კი შევძლებთ. ეს გარემოება ფრიად ხელს უწყობს ჩვენ ტყეების ექსპლოატაციას. საქართველოს ტყეები თავის შემადგენლობით თითქმის ნახევარზედ მეტს წიფელს წარმოადგენს. აქამდისინ ამ ჯიშს ჩვენში ძალიან ნაკლები გასავალი ჰქონდა, რადგანაც როგორც საშენებელ ისე საავეჯო მასალად იგი ძალიან დაბლა ფასობდა, მისგან უმთავრესად შეშა მზადდებოდა. ტკეჩების დამუშავებამ შესამჩნევლათ ასწია წიფლის ხის ფასი. თუ წინად წიფლის ხე საშეშოთ იყიდებოდა 20—50 მან. ეხლა მის ფასმა აიწია 500—800 მან., დიდი შემოსავლის იმედი გვაქვს აგრეთვე ქალაქთა კავშირიდან, რომელიც აპირებს 1000 დეს. ტყის დამუშავებას. ტყეების ექსპლოატაციას შეუდგნენ ზუგდიდიდის, ქუთაისის, გორის, თელავის და სხ. ერობები. დიდი მოთხოვნილება არის შპალებისა, როგორც ჩვენი რკინის გზის ისე მეზობელ რესპუბლიკების მხრივ. ამ წლის დამდეგშივე მოხდება საბოლოო ლიკვიდაცია იმ დამზადებულ ხე-ტყისა, რომელიც გამოუტანელი დარჩა. ცხინვალის, გაგრის, ახალციხის დგ სხ. ადგილებიდგან. აი ეს მოსაზრებანი გვაძლევენ სრულ იმედს, რომ მომავალ წელს ტყის შემოსავალი 5 მილიონამდე ავა.

წინად ტყის მოშენების საქმე საქართველოში (ტფილისის სამთო-საკულტურო სატყეოს გარდა) არ იყო შემოღებული, თუმცა შესამჩნევი ტყის მოედანი ცეცხლისა და უგნურ ექსპლოატაციის გამო ბევრ ადგილას უდაბნოთ იყო გადაქცეული. მიმდინარე წელს პირველად შეუდექით ტყის მოშენებას, დავთესეთ ნაძვი ახალციხის რაიონში, გარეთ და შიგნით კახეთში. კახეთში წიწვიანი ტყეები არსად არის, თუმცა მათ გამრავლებას აქ ხელი უნდა შეუწყოს, როგორც შესაფერმა ჰავამ, ისე ნიადაგმა, რადგანაც ჩვენ მაღალ ზონაში უკეთეს ჯიშათ უნდა ჩაითვალოს ნაძვი, ამიტომ შემდეგშიც ვეცდებით ეს ჯიში გადავიტანოთ და გავამრავლოთ იქ, საცა იგი გავრცელებული არ არის. ტყის მოშენების საქმისათვის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია 475,000 მან.

საქართველოს ტყეთა ინსპექტორი

ს. ქურდიანი.

# უცხოეთი

**მანდატი სომხეთზე.**

ვაშინგტონიდან იტყობინებიან რომ სენატში გენერ. ჰარბორდიმ წარადგინა მოხსენება რომელიც მოითხოვს შეერთებულ შტატებისგან სომხეთზე მანდატის მიღებას.

**იტალიის დელეგაცია რუსეთში.**

იტალიის სოციალისტების დელეგაცია მიემგზავრება რუსეთში აპრილის გასულს, დელეგაციაში შედის თორმეტი პირი სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიებიდან.

**ლიტვა და საბჭოთა რუსეთი.**

საბჭოთა რუსეთის შეკითხვაზე თუ რა პირობებში შეიძლება ლიტვასთან ზავის ხელშეკრულების დადება—ლიტვამ უპასუხა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა რუსეთი იცნობს ლიტვას ფარგლებში შემოერთებას შემდეგ გუბერნიებისას: კოვენსკის, გროდნენსკის, სუვალსკის და ვილნოს სატახტო ქალაქად.

**შორეულ აღმოსავლეთში.**

ტოკიოდან იტყობინებიან რომ აპრილის 12-ს ჩინეთის საზღვრებზე ბოლშევიკებმა შეტევა დაიწყეს ცდილობდნენ ჩინეთის ტერიტორიაზე გადმოსვლას, მაგრამ ბოლშევიკური ძალები უკუ აგდეს ჩინელებმა და დიდი ზარალიც მიაყენეს.

**გადაფრენა რომიდან—ტოკიოში.**

ცნობილი ავიატორი მაზერიო რომიდან აეროპლანით გადაფრინდა ტოკიოში.

**ბულგარეთის პარლამენტის არჩევნები.**

აპრილის 5-ს ბულგარეთში დასრულდა პარლამენტის არჩევნები. აგრარიებმა 229 ადგილიდან მიიღეს მხოლოდ 110 ადგილი. კომმუნისტებმა—49; დემოკრატებმა—24; რადიკალებმა—7; პროგრესისტებმა—7; ლიბერალებმა—3; გენადიევის მომხრეებმა—3; ამ რიგად აგრარიებმა მოიგეს 25 ადგილი, სოციალისტებმა დაჰკარგეს—30 ადგილი. კაბინეთის კრიზისი ბულგარეთში დასრულდა. ახალი მთავრობა, გაზეთების გადმოცემით, იქნება კოალიციური, რომელშიც შევლენ: აგრარიები, ნაციონალისტები და პროგრესისტები.

**რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა.**

ჰელსინგფორსის კორრესპონდენტის გადმოცემით რუსეთში ეკონომიური კრიზისი თან და თან მწვავდება და ქვეყანა დიდ კატასტროფისკენ მიექანება. შრომის მილიტარიზაციამ საბჭოთა რუსეთს ვერაფერი მოუტანა. მანეთის კურსი დღითი დღე ეცემა. საბჭოთა მთავრობა უშვებს ახალ ფულებს 5, 10, 15 ათას მანეთის ღირებულებისას. ეს უფრო ერთი ორად აძვირებს ცხოვრებას. ეკონომიურ კრიზისმა პროფესიონალური მუშათა კავშირები აამხედრა საბჭოთა მთავრობის წინაამდეგ. ერთი სიტყვით სურათი ძალიან შემაძრწუნებელი იქნება თუ უსურსათობამ ასე დიდ ხანს გასტანა რუსეთში.

**სიძვირის მიზეზი.**

საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს ცნობებით, მთელს ევროპაში საერთო სიძვირეს იმანაც შეუწყო ხელი, რომ სურსათ-სანოვაგისა თუ სხვა საგნების წარმოება ომიანობის გამო შემცირდა, ხოლო ბონების ბეჭვდამ უზომოთ იმატა. საბჭოს ცნობით ქაღალდის ფული 1913 წელს ყოფილა ინგლისში 30 მილიონ გირვანქა სტერლინგისა 1919 წელს კი 450 მილ. გირვანქისა; საფრანგეთში 1913 წ. 230 მილ. გირვანქა სტერლ. 1918 წ. 1500 მილ. გირვ. სტერ. იტალიაში 1913 წ. 110 მილ. გირ. სტერ. 1913 წ. 700 მილ. გირ. სტერ. ბელგიაში 1913 წ. 40 მილ. გირ. სტერ. 1919 წ. 200 მილ. გირ. სტერ.

**ევროპას სამხედრო ვალი.**

ევროპის სახელმწიფოების სამხერო ვალი უმაღლეს საბჭოს ცნობებით უდრის: 1) ინგლისისა 7 მილიარდ გირვ. სტერ. ეხლანდელი კურსით გირვ. სტერლინგი საშუალოთ 1000 მ.) 2) საფრანგეთისა—$6^1/_2$ მილიარდ გირვ. სტერ. 3) იტალიისა—$2\ ^3/_4$ მილიარდ გირვ. სტერ. 4) შეერთებულ შტატებისა—5 მილიარდი გირვ. სტერლ. 5) გერმანიისა სამხედრო ზარალის ასანაზღაურებელ თანხის გარდა)—$9^1/_2$ მილიარდ გირვ. სტერლინგს. საერთოდ მთელი ქვეყნის სამხედრო ვალი 40 მილიარდ გირვანქა სტერლინგს უდრის.

**სიძვირე წინად და ეხლა.**

ნაპოლეონის ომების დროს სიძვირემ ინგლისში იმატა 75 პროცენტით და რვა წელიწადი იყო საჭირო, რომ ცხოვრება ჩვეულებრივ დონეზე დამდგარიყო. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ამერიკაში სიძვირემ ასი პროცენტით იმატა და 12 წელიწადი იყო საჭირო, რომ ცხოვრება ძველს კალაპოტში ჩამდგარიყო. დღევანდელ უსაშინელეს და უდიდეს ომიანობას მოჰყვა ასეთივე სიძვირე. 1913 წელთან შედარებით სიძვირე გაიზარდა შეერთებულ შტატებში 120 პროცენტით, ინგლისში 170 პროცენ., საფრანგეთ-იტალია-ბელგიაში 300 პროცენტით.

**პურის მოსავალი.**

ომიანობამდე რუმინიას გაჰქონდა უცხოეთში ყოველ წლივ $6^1/_2$ მილიონი კვარტერი ხორბალი, ეხლა კი ერთი მარცვალიც ვეღარ გააქვს, რადგანაც მხოლოდ თავისი საკმარისი ხორბალი მოჰყავს. შარშან დეკემბერში რუმინიაში სულ 530000 გექტარი იყო დახნული, ომიანობის წინ კი საშუალოდ 1,900000 ათას დესეტინას ჰხნავდენ.

**ქვა ნახშირის შემცირება.**

1913 წელს ქვა ნახშირის წარმოება უდრიდა ინგლისში 292 მილიონ მეტრ ტონს(ტონა 62 ფუთია), 1919 წელს კი მხოლოდ 234 მილ. ტონს; საფრანგეთში (ლორენია წარ.) 1913 წ. 44 მილ. ტონს, 1919 წელს 22 მილიონ ტონს; გერმანიაში (საარისა და ლორენის გარდა) 1913 წ. 173 მილ. ტონს, 1919 წ. 109 მილიონ ტონს; შეერთებულ შტატებში 1913 წ. 517 მილ. ტონს, 1919 წ. 495 მილიონ ტონს.

## ადერბეიჯანი

ადერბეიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა ბაქოს გენერალ-გუბერნატორს ყადაღა დაადოს გვარჯილაძის და ხაგონდოკოვის ქონებას, რომელთაც ნარდათ ჰქონიათ აღებული ხორცის მიწოდება სანოვაგის დამამზადებელ კომიტეტისათვის და ამ კომიტეტისა 3 მილიონ მანეთამდე ვალი დაედოთ.

## სომხეთი.

აბისინიის სომხებმა 3 საფრენი მიუძღვნეს სომხეთის მთავრობას.

**ბულგარეთის სომეხთა დადგენილებანი.**

ამ წლის მარტში სოფიაში მოხდა მეორე ყრილობა ბულგარეთის სომხებისა, რომელმაც დაადგინა მოსთხოვოს პარიზის სომეხთა გააუქმონ ეროვნული დელეგაციები და შეჰქმნან ერთი მთლიანი დელეგაცია; 2) სომხეთის პარლამენტი და მთავრობა აღიარონ ერთად ერთ უმაღლეს წარმომადგენლად და პასუხისმგებლად სომხის ხალხისა; 3) კონსტანტინოპოლის პატრიარქატი მიიჩნიონ მხოლოდ სარწმუნოებრივ-კულტურულ საქმეთა დაწესებულებად; 4) მოსთხოვონ სომხეთის მთავრობას, რომ სომხეთის ასაღორძინებლად პოლიტიკისა და შემოქმედებითი მუშაობის წარმოებისათვის მიიზიდოს მთელი სომხეთის ერის ცხოველმყოფელი ძალა.

## გერმანია

**გერმანიის განიარაღება.**

ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, გერმანიას ამ ჟამად აქვს 17,800 ზარბაზანი. დროებითი ზავის შეკვრის დროს გერმანიაში კვლავ განაგრძობდენ ზარბაზნების დამზადებას ისე, რომ ეხლა ძნელი გამოსაცნობია რამდენი უხმარი ზარბაზანი აქვთ. ინგლისის სამხედრო სამინისტროს გამოანგარიშებით გერმანიას ეხლა აქვს 15248 საფრენი, რომლებიც ყოველ წუთს შეუძლიან საომრად გამოიყენოს.

**ვილჰელმის ბედი.**

ვილჰელმს და კრონც-პრინცს ირლანდიის ერთ-ერთ კუნძულზე უპირებენ გადასახლებას.

## იტალია

გაზ. „ტაიმს“-ი გადმოგვცემს, რომ იტალიაში ტურინის მახლობლად ბამბის საპენტ ქარხნის პატრონს სამძიმო მოთხოვნილებანი წარუდგინეს, რის გამოც მუშებს ანგარიში გაუსწორეს. მუშებმა ითხოვეს საქმე შემარიგებელ სავაჭრო-პალატისათვის გადაეცათ. ქარხნის პატრონმა ძმ. მაცზონებმა უარი უთხრეს. მაშინ მუშები ძალით შევიდნენ ქარხანაში, ქარხანა თავის საკუთრებათ გამოაცხადეს და მუშაობას შეუდგნენ. მომრიგებელმა პალატამ ქარხანა აუქციონით გაჰყიდა. მუშებმა აუქციონით დაინარჩუნეს ეს ქარხანა.

## სპარსეთი

სპარსეთს ეხლა ჰყავს 70000 ჯარის კაცი. ჯარის ინსტრუქტორებიდ ინგლისელები არიან. ინგლისის გავლენა ყველა სახელმწიფო დარგში იმდენად ძლიერია, რომ სპარსეთი ინგლისის ახალშენს უფრო ემსგავსება, ვიდრე დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

## რუსეთი

ბათომის ბოლშევიკების გაზეთი „გოლოს ტრუდა“ (№ 95) ბათომს არავის ანებებს და სწერს: „ბათომი—მოსკოვი“, „ბათომი—პეტროგრადი“—აი ლოზუნგები მომენტისა, რომელიც უეჭველია გააერთიანებს ბათომის მთელს დემოკრატიას უიმედო ნაციონალისტთა გარდა“.

## ამერიკა

**შტატების ეკონომიური მდგომარეობა.**

ამერიკის კანტროლიორის ანგარიშიდან სჩანს, რომ 1919 წ. ამერიკის წარმოებას ბა-

ლიან დაუწევია. ქვა ნახშირის ამოღება დიდად შემცირებულა. რკინის დამუშავებას 24 პროც-ით დაუწევია, ფოლადი 20°/₀ ნაკლები დაუმუშავებიათ, წინა წელთან შედარებით. თვალსაჩინოთ შემცირებულა ბამბისა, ხორბლისა და სხვა მოსავალი. 1920 წლის დასაწყისში ბამბის ფასი იმდენად დაეცა, რომ გირვანქა 1,68 ცენტი ღირდა.

**შემცირება ოქროს დამუშავებისა.**

რადგანაც სხვა საგნებთან შედარებით ოქროს ფასმა შესამჩნევად დაიწია, მისი დამუშავება შეერთებულ შტატებში საგრძნობლად შემცირებულა. 1919 წელს შტატებში დაუმუშავებიათ 58 მილიონ დოლარის ღირებულებისა, მაშინ, როდესაც 1915 წელს 101 მილ. დოლარისა. ამგვარად წარმოებას 43°/₀ დაუწევია.

# სხვა და სხვა

✦ გურიაში დააპატიმრეს ცნობილი კომუნისტი თედორე კალანდაძე, ოქტომბერ-ნოემბრის აჯანყების მეთაური.

✦ იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი გ. ჟორდანია, სამოსამართლოს პალატის მბრალდებელი მ. ტატიშვილი და მილიციის უფროსი პ. ფაჩულია დაბრუნდნენ შათომის ოლქიდან, სადაც ისინი კინტრიშის აფეთქებულ ხიდის საქმის გამოსაძიებლად იყვნენ წასულნი; როგორც გადმოგვცემენ ბოროტ-მოქმედების ყოველი ქსელი გამომძიებლების ხელშია. ამ საქმის გამოძიება გადაეცა ქუთაისისის უდიდეს საქმეთა გამომძიებელს დევიძეს.

✦ ქალაქის თვითმართველობის გამგეობამ ნება დართო სასურსათო განყოფილებას მისცეს ქალაქის სასაკლაოსთან არსებულ საპნის ქარხანას დახმარება საპნის დამუშავებისთვის იმ პირობით, რომ ქარხანამ გადაიხადოს ხოლმე ვალი დამუშავებულ საპნის ნახევარი რაოდენობა, რომელიც უნდა ეძლეოდეს განყოფილებას თვით ღირებულ ფასებში ქალაქის სასარგებლოდ ერთნაირ პროცენტების მომატებით.

✦ პარასკევს, 30 აპრილს, ქართულ კლუბში მწერალთა, კრიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით გაიმართება მოხსენება-კამათი მოსკოვის სამხატვრო თეატრის დადებით და უარყოფით მხარეების შესახებ.

✦ დღეს, 28 აპრილს, საღამოს 7 საათზე, წმ. ნინოს სასწავლებელში, დანიშნულია სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სასწრაფო კრება ფრიად საჭირო კითხვის განსახილველად.

✦ განათლების სამინისტროს მონდობილებით ტფილისის ქალთა მე-3 გიმნაზიის დირექტორმა გაანაწილა ბილეთები მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის დილის (2 და 9 მაისის) მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენებისა ქ. ტფილისის საშუალო და დაბალ სასწავლებელთა შორის. ბილეთები დაურიგდებათ ქალთა მე-3 გიმნაზიაში (ბებუთოვის ქუჩა № 28) 28, 29 და 30 აპრილს დილის 12—2 საათ. სასწავლებელთა წარმომადგენლებს.

# მოწოდება

**საქართველოს რესპუბლიკის ყველა მხარის ერობებს, ერობათა კავშირს, ქალაქთა კავშირს, ქალაქთა თვითმართველობებს, კოოპერატივთა ცენტრალურ და სარაიონო კავშირებს, კერძო დაწესებულებებს და პირებს.**

თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების მძიმე პირობები განსაკუთრებით მძიმე და აუტანელნი არიან ქართველი სტუდენტობისათვის, რადგან მათ უხდებათ ერთის მხრით თავის რჩენა, ხოლო მეორე მხრით სწავლა, მეცნიერების შეთვისება. მეტი წილი ქართველი სტუდენტობისა ამ ჟამად მსახურობს სხვა და სხვა საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებში, რაც ჰქმნის მეტისმეტად არა სასურველ და არა ნორმალურ მდგომარეობას, რადგან სამსახური ართმევს მოსამსახურე სტუდენტს საუკეთესო დროს, ართმევს მას ენერგიას და შეუძლებლად ხდის სისტემატიურ, დამშვიდებულ მუშაობას მეცნიერების შესათვისებლად. გარდა ამისა არიან ისეთი სტუდენტებიც, რომელნიც მხოლოდ სიტყვით ითვლებიან სტუდენტებად, რადგან ნივთიერმა ხელმოკლეობამ, უსახსრობამ იძულებული გახადა ისინი მოშორებოდენ უნივერსიტეტს. ასეთი არა ნორმალური მოვლენა არ არის მხოლოდ სტუდენტური საკითხი იგი ფართო საზოგადოებრივი მოვლენაა და ამაში არის დაინტერესებული და უნდა იყოს ქართველი საზოგადოება და ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა, რადგან ამ სტუდენტობამ უნდა მისცეს ჩვენ სახელმწიფოს შესაფერისად მომზადებული კადრი აგრონომებისა, ექიმებისა, ეკონომისტებისა, პედაგოგებისა, და სხვა. თუ არ იქნა მიღებული შესაფერისი ზომები და არ გაუმჯობესდა სტუდენტთა ცხოვრების პირობები, საფრთხეში იქნება ჩვენი რესპუბლიკის კულტურული და ეკონომიური წარმატება, ჩვენი მეცნიერული მომავალი, რადგან დღეს არსებული პირობები გაამეფებენ დილეტანტიზმს ყოველ დარგში.

ამიტომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა, იღებს რა მხედველობაში სტუდენტთა ცხოვრების არა ნორმალურ პირობებს, მოგმართავთ თქვენ თხოვნით დახმარება აღმოუჩინოთ სტუდენტებს სტიპენდიების დაარსებით, რათა ამ სახით საშუალება მიეცეთ მათ მთელი თავისი ენერგიით ემსახურონ თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას-მეცნიერების შეთვისებას და ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე.

გამგეობის თავმჯდომარე: **ა. ინაშვილი.**

მდივანი: ბ. **ლაბარტყავა.**

## განცხადებანი.

დაკარგულია ზედნადები (накладная) 3522 ფ. ნავთზე № 2034 ზაზუნოვის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება.
766 3—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილება აცხადებს, რომ მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით შეცვლილია ვაჭრობა, დანიშნული 20 აპრილს 200 ჯირკზე ალბულახის სატყეო სხრამის აგარაკიდან.
443 1—1

ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, აცხადებს, რომ დაიკარგა იმავ ტაძრის ეზოს 1919 წლის საბინაო დავთარი. 769 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 5919 ნიკიფორე ოქროპირის ძე მანაგაძის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 751 3—1

დაიკარგა ატესტატი რვა კლასის დამთავრებისა როსტომ კონსტანტინეს ძე მესხიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა პირველი გიმნაზიიდან 1914 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 777 3—1

ივანე ბალიას ძე მალაევი აცხადებს, რომან დაჰკარგა საბინაო დავთარი მისი სახლის, რომელიც მდებარეობს ვანქის ქუჩაზე № 4.
780 3—1

დაიკარგა ნ. მ. ბონდარენკოს, გუნიბის ქუჩაზე მესამე ბანდი № 3 მდებარე სახლის დავთარი № 6038. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
773 3—1

დაიკარგა ტფ. მეორე საურთიერთო ნდობის საზაგადოების ბილეთი № 768—600 მანეთს სალომე დავითის ასული დავიდოვის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 775 3—1

დაიკარგა ტყიბულის საზ. „ნახშირას“ აქციები №№ 0741, 0742, 0744. 0745, 0748, 0749 კარაპეტ თომას ძე ვართანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 778 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა პოლკოვნიკი ირიკლი ივანეს ძე ალექს-მესხიშვილის სახელზე, მიღებული მე-5 ქართულ პოლკიდან 1919 წ. ოფიცერთა ეკონომიურ საზ. გამგეობის წევრობის მოწმობა სურათით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 755 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1 ანა სიმონის ასული კაჩინას სახელზე, მიღებული სოფ. ბაბკინის სამმართველოდან (პერმის გუბ.) გაუქმებულათ ჩაითვალოს. 756 3—1

დაიკარგა პასპორტი № 487 პავლე ვასილის ძე კორჟენევსკის სახელზე, მიღებული საქართველოს მისიიდან ქ. კიევში 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 800 3—1

დაიკარგა პასპორტი დიმიტრი იორდანის ძე ნონიაშვილის სახელზე, მიღებული ქვემო ჭალის საეროބო თემიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 794 3—1

# კავკასიის

## დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა ტფილისში.

ანგარიში და ბალანსი 1919 საოპერაციო წლისა.

1920 წლ. 1 იანვრის ბალანსი.

| აქტივი | | |
|---|---|---|
| ანგარიში კასისა . . . | 8.719 მ. | 7 კ. |
| ბანკის მიმდ. ანგ. . | 2.226.762 „ | 95 „ |
| დებიტორ. . . . . | 112.074 „ | 91 „ |
| ქალაქ. სააგენტ. . . | 24.500 „ | 92 „ |
| გადამდ. თანხ. . . . | 10.604 „ | 50 „ |
| მიმდინ. ხარჯ. . . . | 44.665 „ | 68 „ |
| მიმდ. ხარჯ. დაწ. გახსნ. | 23.570 „ | 97 „ |
| | 2.450.899 „ | — „ |

| პასივი | | |
|---|---|---|
| ანგ. შენახ. კაპიტ. . | 2.000.000 მ. | — კ. |
| გადამ. თანხ. . . . | 1.500 „ | — „ |
| ცეცხ. ზარალ. . . . | 200.000 „ | — „ |
| სახაზინო გადასახ.: | | |
| 1919 წ. შეგროვილა . | 60.799 „ | 70 „ |
| დაბრუნებულია . . . | 2.383 „ | 1 „ |
| ხაზინაში შეტან. . . | 47.156 „ | 80 „ |
| | 11.309 „ | 89 „ |
| სალერბო გადასახ.: | | |
| 1919 წ. შეგროვ. . . | 7.809 „ | — „ |
| ხაზანაში შეტ. . . . | 6.049 „ | 20 „ |
| | 1.759 „ | 80 „ |
| გადასახ. და მის თან. | 15.632 „ | 32 „ |
| წმინდა მოგ. 1919 წ. | 220.696 „ | 99 „ |
| | 2.450.899 „ | — „ |

1919 წ. ანგარიში.

| შემოსავალი | | |
|---|---|---|
| პრემია და სხ. გადასახ. | 1.059.415 „ | 61 „ |
| მიმდ. ანგარ. პროც. . | 74.243 „ | 02 „ |
| კომისია და სხვ. შემ. . | 29.170 „ | 75 „ |
| | 1.162.829 „ | 38 „ |

| გასავალი | | |
|---|---|---|
| გადახ. ცეცხ. ზარ. გამო | 453.550 „ | — „ |
| კომის. და სხვ. . . . | 145.370 „ | 68 „ |
| მიმდ. ხარჯები . . . | 337.318 „ | 97 „ |
| დაწ. გახსნ. მიმ. ხარჯ. | 5.892 „ | 74 „ |
| წმინდა მოგება . . . . . | 220696 „ | 99 „ |
| | 1.162.829 „ | 38 „ |

აქციონერთა საზოგადო კრებამ დაადგინა წმინდა წლიურ მოგებიდან წესდ. მე-62 §-ში აღნიშნულის გამოკლებით მიეცეს დივიდენდი აქციებზე 160.000 მან. რაც შეადგენს 8°/₀ კაპიტალზე. 254 1—1

# სავალდებულო დადგენილება

**ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული 1920 წ. 5 აპრილის სხდომაზე, სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.**

1) ვაჭრობა, როგორც ნაღდათ, ისე ნაჭროპით, ყველა საწყობებში, მაღაზიებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში სწარმოებს დღეში 8 საათს.

2) კვირაობით და დამფუძნებელ კრების მიერ დეკრეტით ცნობილ უქმეებში ყველა სავაჭრო დაწესებულებანი დაკეტილი უნდა იყოს. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის სავაჭროები, რომლებიც ვაჭრობენ პურით, ხორცით, თევზეულობით, ძეხვით და მწვანილეულობით, რომელთაც უფლება აქვთ კვირა-უქმეებს ივაჭრონ შუადღის 12 საათამდე, რისთვისაც მომუშავეთ ეძლევათ განსაკუთრებული გასამრჯელო ერთ ნახევარით მეტი დღიური ხელ-ფასის ნორმისა.

**შენიშვნა**: კვირაში ერთი დღე იქმნას ცნობილი ყველასათვის სავალდებულოთ დასვენების დღეთ და ამ დღეთ კვირა ჩაითვალოს.

3) იმ სავაჭრო დაწესებულებებში, სადაც ვაჭრობენ მხოლოდ ხორცით, თევზეულობით და მწვანილეულობით ვაჭრობა სწარმოებს: ზაფხულში (1 მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე) დილის 6 საათიდან 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდან 4 საათამდე; ზამთარში (1 ოქტომბრიდან 1 მაისამდე) დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდგან 5 საათამდე.

**შენიშვნა**: თევზეულობით მოვაჭრეთ უფლება აქვთ აწარმოონ ვაჭრობა განუწყვეტლივ იმ პირობით, თუ მომუშავენი შეცვლილნი იქმნებიან მომუშავეთა მეორე წყებით და სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის სასტიკი კონტროლით.

4) სავაჭრო დაწესებულებანი, რომელნიც ვაჭრობენ ნაღდათ ხილით და მწვანილეულობით აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულობით დილის 4 საათიდან 9 საათამდე და 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ზამთრობით: დილის 6 საათიდან 11 საათამდე და შუადღის 1 საათიდან 4 საათამდე.

5) საჩაიებში საკანდიტროებში და ყავახანებში ვაჭრობა სწარმოებს ზაფხულობითაც და ზამთრობითაც დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

6) წვრილი მოვაჭრენი, რომელნიც დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ, ვაჭრობენ საერთო წესის თანახმათ დღეში 8 საათს.

7) ოქრომჭედელთ, თამბაქოთი მოვაჭრეთ, ავეჯეულობით, რკინეულობით და სხვა ნივთებით მოვაჭრეთ, ფართლეულობით და გალანტერეული ნივთებით ნაღდათ მოვაჭრეთ უფლება ეძლევათ ივაჭრონ განუწყვეტლივ, თუ მომუშავენი თანახმანი იქმნებიან, იმ პირობით, რომ სამუშაო დრო 8 საათზე ნაკლებ განისაზღვრებოდეს.

8) ყველა დანარჩენი დაწესებულებანი აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს $4^1/_2$ საათიდან $6^1/_2$ საათამდე. ზამთარში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4 საათ. 6 საათამდე.

9) ყოველ გვარი მუშაობა და ვაჭრობა სავაჭრო დაწესებულებაში და მათ კანტორებში შაბათობით თავდება ნაშუადღევის 2 საათზე.

10) მაღაზიების კანტორებში მუშაობა ორი საათით გვიან იწყება და გრძელდება 6 საათს.

11) სავაჭრო დაწესებულებაში მუშაობის შეწყვეტამდე 15 წუთით ადრე შესავალი კარები უნდა იხურებოდეს და კარებზე იკიდებოდეს პლაკატების წარწერით: „მაღაზია დაკეტილია“.

**შენიშვნა**: სავაჭრო დაწესებულებათა პატრონები ვალდებულნი არიან მაღაზიების შიგნით გამოსაჩენ ადგილას გამოაკრან პლაკატი, რომელზედაც ნაჩვენები უნდა იყოს ვაჭრობის დაწყების და გათავების დრო, აგრეთვე მოწოდება მოქალაქეთადმი, რომ მათ დახურვის დროს დასტოვონ მაღაზია.

12) ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს პასუხის გებაში იქმნება მიცემული სასჯელთადებულების 20 მუხლით.

**დედანთან სწორეა.** ქალაქის საბჭოს კანცელარიის საქმისმწარმოებელი **აქ. ტყემალაძე.**
461 3—3

# განცხადება

## ქართული სავაჭრო აქციონერული ბანკის გამგეობა ქ. ფოთში

ამით აცხადებს რომ, ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება, 1920 წლის 18 აპრილიდან, თანახმათ დადგენილებათა, საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა, 1918 წლის 29 დეკემბრიდან და 1920 წლის 14 მარტიდან, ერთის მხრით და ქართული სავაჭრო ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრებისა, 18 ამა აპრილიდან, მეორე მხრით, გადაკეთდა ქართული სავაჭრო ბანკათ ქ. ფოთში, $3^1/_3$ მილიონ მანეთის ძირითადი თანხით და ამ უკანასკნელმა, დაიწყო რა მოქმედება თანახმად ფინანსთა მინისტრის მიერ 1920 წელს 9 აპრილს დამტკიცებულ წესდებისა, მიიღო ყოფილი საზოგადოების აქტივი და პასივი ყველა უფლება-მოვალეობით. ამის გამო ყველას, ვისაც რაიმე ანგარიშები აქვს ყოფილ საზოგადოებასთან შეუძლია ეს ანგარიშები განაგრძოს ქართულ სავაჭრო ბანკთან ფოთში. 458 3-1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.